

შპს ბარაკონი

მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამები

საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი: თბილისი, ფანჯიკიძის (ყოფილი ბუდაპეშტის) ქ. №1^ბ, მესამე სართული

ელ-ფოსტა: barakoni08@gmail.com

ტელეფონი: (+995 322) 30 80 86

მობ.: 599 50 40 52; 5 77 462 402

საკონტაქტო პირი - გიორგი ფოფხაძე

ნინო ხაჩიძე

თბილისი

2017

კომპიუტერული გრაფიკა და ანიმაცია

პროგრამის ხანგრძლივობა	
სასწავლო კვირა	12
სასწავლო დღე	36
სასწავლო საათი	108
დატვირთვა კვირაში	9 სთ
პრაქტიკული და თეორიული სწავლების თანაფარდობა	
პრაქტიკული სწავლება	65 სთ
თეორიული სწავლება	43 სთ
პრაქტიკული და თეორიული სწავლების პროცენტული წილი	60% / 40 %

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 850 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მინიმალური რაოდენობა - 10)

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 750 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა - 15)

შეისწავლება 5 პროგრამა: A Adobe Photoshop, Adobe Illustrator, Adobe Indesign, Adobe After Effects, Autodesk 3ds Max (Vray).

კურსი შედგება 2 ნაწილისგან:

პირველ ნაწილში ისწავლება პოლიგრაფიული პროგრამები.

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ფოტოსურათის დამუშავებას: ძველი სურათის აღდგენას, ფერების კორექტირებას, კოლაჟების შექმნას;
- ნებისმიერი პოლიგრაფიული პროდუქციის შექმნას: ფლაერის, ბუკლეტის, სავიზიტო ბარათის, მოსაწვევის და ა. შ.;
- წიგნის დაკაზმონებას;
- ფაილის მომზადებას ბეჭდვისთვის.

მეორე ნაწილში ისწავლება სამგანზომილებიანი მოდელირება და ანიმაცია.

კურსდამთავრებული შეძლებს:

- არქიტექტურული შენობა-ნაგებობის, ავეჯის, საინჟინრო დეტალის სამ განზომილებაში მოდელირებას;
- შექმნილი 3D მოდელების ტექსტურირებას, განათების და კამერის დაყენებას;
- შექმნილი სცენის ვიზუალიზაციას Vray რენდერის გამოყენებით;
- ანიმაციის შექმნას (ისწავლის ანიმაციის საფუძვლებს);
- ვიდეოს რედაქტირებას.

საზოგადოებრივი კოლეჯი ბარაკონის მოკლევადიანი მომზადება-
გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამები

2017

საგანი	№	ლექციის თემა	საათ. რაოდ.
საგანი	№	ლექციის თემა	საათ. რაოდ.
Adobe Photoshop		რედაქტირება. ობიექტის ზომების შეცვლა, დეფორმირება. შრებთან მუშაობა.	
	2	ფერებთან მუშაობა, SMYK და RGB პალიტრები, ფერის ჩასხმა, გარდამავალი ფერების შექმნა: ჩანართები Color, Swatches, Gradient. საშლელის და ფუნჯის გამოყენება. ტექსტის შექმნა, ტექსტთან მუშაობა: Type Tool ჯგუფი, ჩანართები Paragraph, Character.	3
	3	გამოსახულების კორექცია: ბრძანება Clone Tool, Healing Brush Tool ჯგუფი. კონტურის შექმნა და დამუშავება : Pen tool ჯგუფი. სტანდარტული კონტურების შექმნა, ფერის ჩასხმა კონტურში.	3
	4	ობიექტის ფერების კორექტირება: Levels, Curves, Color Balance, Hue/Saturation, Brightness/Contrast, Photo Filter, Black & White, Match Color. ბრძანებები: Dodge tool - ჯგუფი, Blur tool - ჯგუფი.	3
	5	ობიექტის მონიშვნა: ხელსაწყო Quick Mask. შრების სტილები (ჩრდილი, ნათება, მოცულობა და ა.შ). ფილტრები: Filter Gallery, Liquify, Vanishing Point.	3
	6	მასალის გამეორება.	3
Adobe Illustrator	1	პროგრამის ინტერფეისის გაცნობა, პროგრამის მუშაობის ძირითადი პრინციპები. კონტურის შექმნა და დამუშავება : Pen tool ჯგუფი, Selection Tool, Direct Selection Tool. ფერებთან მუშაობა, SMYK და RGB პალიტრები, გარდამავალი ფერების შექმნა: ჩანართები Color, Swatches, Gradient.	3
	2	სტანდარტული ფიგურების შექმნა, შექმნილი ფიგურების პარამეტრების შეცვლა: ჯგუფები Rectangle Tool, Line Segment Tool. ობიექტის დატრიალება, მასშაბირება, სარკისებური მოტრიალება, კოპირება: ჯგუფები Rotate Tool, Scale Tool, Free Transform Tool, ბრძანება Transform Each, ჩანართი Transform.	3
	3	ჩანართი Pathfinder. ობიექტების გასწორება: ჩანართი Align. სურათის ტრასირება.	3
	4	კონტურის პარამეტრების შეცვლა, ობიექტისთვის რამდენიმე კონტურის შექმნა: ჩანართები Stroke, Appearance. ტექსტის შექმნა, ტექსტთან მუშაობა: Type Tool ჯგუფი, ჩანართები Paragraph, Character, ბრძანება Type on a Path Options. მოცულობის ეფექტი: ხელსაწყო Mesh Tool. სიმბოლოებთან მუშაობა: Symbol Sprayer Tool ჯგუფი. ობიექტის დეფორმირება: Warp Tool ჯგუფი.	3
	5	ფუნჯის, ფანქრის, საშლელის გამოყენება: ჯგუფები Pencil Tool, Eraser Tool, ხელსაწყოები Paintbrush Tool, Blob Brush Tool. ერთი ფიგურის მეორე ფიგურაში გადასვლა: ხელსაწყო Blend Tool. ნაწილობრივ გამჭვირვალე ობიექტის შექმნა: ჩანართი Transparency. სურათის კონტურში ჩასმა: ბრძანება Clipping Mask.	3
	6	მასალის გამეორება	3

საზოგადოებრივი კოლეჯი ბარაკონის მოკლევადიანი მომზადება-
გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამები

2017

	1	პროგრამის ინტერფეისის გაცნობა, პროგრამის მუშაობის ძირითადი პრინციპები. საზომი ერთეულების დაყენება. ახალი დოკუმენტის შექმნა: ზომების, მინდვრების, სვეტების დაყენება. შექმნილ დოკუმენტში გვერდების დამატება, წაშლა, გადატანა. Master Page - ის დანიშნულება და Master Page - თან მუშაობა. ტექსტური ჩარჩოს შექმნა და ტექსტის	3
საგანი	№	ლექციის თემა	საათ. რაოდ.
Adobe InDesign (Vray)	1	პროგრამის ინტერფეისის გაცნობა, პროგრამის მუშაობის ძირითადი პრინციპები. ტექსტთან მუშაობა: Type Tool, პარაგრაფი, ჩანართები Paragraph, Character, ბრძანება Text Frame	3
	2	სტანდარტული და გათვალისწინებული გეომეტრიული პრიმიტივების შექმნა და მათი Options. გვერდების დანომრვა. სტანდარტული ფორმების შექმნა. გარდამავალი ფერების შექმნა: ჩანართი Gradient. ცხრილის შექმნა.	3
	3	სტილების შექმნა: ჩანართები Paragraph Styles, Character Styles. სარჩევის შექმნა. სქოლიოს შექმნა. დოკუმენტის შენახვა: Package ბრძანება. ჩანართი Links.	3
	4	მასალის გამეორება.	3
Adobe After Effects	1	პროგრამის ინტერფეისის გაცნობა, პროგრამის მუშაობის ძირითადი პრინციპები. პროექტი, კომპოზიცია. ფენები, ფენებთან მუშაობა.	3
	2	ეფექტები და გადასვლები. ანიმაცია და მისი საფუძვლები.	3
	3	ნიღბები და ფორმები. ტექსტთან მუშაობა.	3
	4	მასალის გამეორება.	3

	რედაქტირება.	
2	ხაზების შექმნა, ძირითადი პარამეტრები. ხაზების რედაქტირება. ინტერიერის გეგმის შექმნა.	3
3	ხაზებზე მომუშავე მოდიფიკატორები: Extrude, Sweep, Lathe. ფუნქცია Boolean.	3
4	ობიექტების პოლიგონებში გადაყვანა და მათი რედაქტირება: Editable Poly.	3
5	პოლიგონალური მოდელირება. ბრძანებები: Array, Align.	3
6	ობიექტის დაგლუვების მოდიფიკატორები: Turbosmooth, Meshsmooth. დეფორმაციის მოდიფიკატორები: Ffd box, ffd cyl, Bend, Shell, Taper, Twist, Noise, Relax.	3
7	ქსოვილის და ბეწვის შექმნა. კამერის დაყენება.	3
8	ობიექტის ტექსტურირება: Material Editor. სტანდარტული მასალების ძირითადი პარამეტრები. მოდიფიკატორი UVW map - მასალების გასწორების პრინციპი. სტანდარტული მასალების შექმნა: მინა, სარკე. რელიეფის ეფექტის შექმნა: Bump.	3
9	სტანდარტული განათების წყაროები და მათი პარამეტრები. ფოტომეტრიული განათება.	3
10	Vray-ის ინსტალირება. Global illumination-ის ჩართვა, Irradiance Map-ის ძირითადი პარამეტრები. Vray-ის განათების წყაროები. ინტერიერის და ექსტერიერის განათების ძირითადი სქემა.	3
11	Vray-ის - მასალების ძირითადი პარამეტრები. მასალები: სარკე, მინა, ხე, ლითონი, კერამიკა, პლასტიკი. Vray-ის თვითნათებადი მასალა, გამჭვირვალე მასალა. HDRI.	3
12	ანიმაციის შექმნა Auto Key და Set Key-ის გამოყენებით. ობიექტის მოძრაობა მოცემულ ტრაექტორიაზე: Motion CanarTi. ანიმაციის რედაქტირება: Track View – Curve Editor, Track View – Dope Sheet.	3
13	ანიმაციის კონტროლიორები. ანიმაციის მოდიფიკატორები.	3
14	ნაწილაკების სისტემები (Particle Systems), ნაწილაკებზე ზემოქმედების ძალების გამოყენება Forces, Deflectors.	3
15	ჩონჩხის შექმნა. IK Solvers, მოდიფიკატორი Skin.	3
16	მასალის გამეორება.	3

ინფორმაციული ტექნოლოგი

პროგრამის ხანგრძლივობა	
სასწავლო კვირა	12
სასწავლო დღე	36
სასწავლო საათი	108
დატვირთვა კვირაში	9 სთ (დღეში 3-3-3 საათი)
პრაქტიკული და თეორიული სწავლების თანაფარდობა	
პრაქტიკული სწავლება	65 სთ
თეორიული სწავლება	43 სთ
პრაქტიკული და თეორიული სწავლების პროცენტული წილი	60% / 40%

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 900 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მინიმალური რაოდენობა - 8)

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 800 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა - 15)

პროგრამა შედგება 4 სასწავლო კურსისგან: კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები (20სთ), კომპიუტერული ქსელების საფუძვლები (32სთ), ოპერაციული სისტემების საფუძვლები (32სთ) და საოფისე პროგრამები და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (24სთ).

პროგრამის მიზანია:

შეასწავლოს მსმენელს პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის ძირითადი ასპექტები, აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენება, განახლება, დაზიანებების აღმოფხვრა, ოპტიმიზაცია და დიაგნოსტიკა.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- კომპიუტერული ტექნიკის შემადგენელი ნაწილების იდენტიფიკაციას;
- კომპიუტერული ტექნიკის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფას;
- კომპიუტერის აწყობას, მოდერნიზაციას, დიაგნოსტიკასა და გამართვას;
- ოპერაციული სისტემის, სამომხმარებლო, დამხმარე და უსაფრთხოების პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციას, გამართვასა და განახლებას;
- პერიფერიული მოწყობილობების მხარდაჭერას;
- შიდა ქსელის გამართვას.

კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი

პროგრამის ხანგრძლივობა	
სასწავლო კვირა	13
სასწავლო დღე	39
სასწავლო საათი	117
დატვირთვა კვირაში	9 სთ (დღეში 3-3-3 საათი)
პრაქტიკული და თეორიული სწავლების თანაფარდობა	

პრაქტიკული სწავლება	70 სთ
თეორიული სწავლება	47 სთ
პრაქტიკული და თეორიული სწავლების პროცენტული წილი	60% / 40%

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 900 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მინიმალური რაოდენობა - 8)

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 850 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა - 15)

პროგრამის მიზანია:

შეასწავლოს მსმენელს მცირე და საშუალო მასშტაბის ქსელების დაგეგმა, მონტაჟი და პროგრამული გამართვა. კომპიუტერული ქსელების ფუნქციონირების მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში მისი კავშირის უზრუნველყოფა ინტერნეტის ქსელთან; ქსელური ოპერაციული სისტემების გამართული მუშაობის მხარდაჭერა და სხვადასხვა სერვისების უზრუნველყოფა.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- თანამედროვე კომპიუტერების არქიტექტურა: ძირითადი და პერიფერიული მოწყობილობების გამართვა და მათი მუშაობის პრინციპები;
- აპარატურული, ქსელური და სისტემური უსაფრთხოების წესები;
- კომპიუტერული ქსელის არსი და უპირატესობა;

- კომპიუტერული ქსელის არქიტექტურა, ტოპოლოგიის ტიპები, მათი უპირატესობები;
- ინფორმაციის გადაცემის აღწერა ქსელური TCP/IP და OSI მოდელების დონეების მიხედვით;
- ქსელური აპარატურის დანიშნულება (როუტერი, კომუტატორი, მოდემი) და ბაზისური კონფიგურაცია;
- ოპერაციული სისტემის დანიშნულება, მუშაობის პრინციპები, დაყენება და პარამეტრების განსაზღვრა;
- სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ინსტალაცია, განახლება და გამართვა;
- ოპერაციული სისტემების გაუმართაობების მიზეზების მოძიება და აღმოფხვრა;
- მცირე და საშუალო სიდიდის ორგანიზაციის ქსელის და შიდა კომპიუტერული სისტემის ინტერნეტთან დაკავშირება.

პროგრამის დამთარების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დიაგნოსტიკა, წარმოქმნილი პრობლემების მიზეზის დადგენა და მისი კვლიფიციური აღმოფხვრა;
- მცირე და საშუალო მასშტაბის კომპიუტერული ქსელის აგება, მართვა და ადმინისტრირება;
- თანამედროვე დინამიური მარშრუტიზაციის პროტოკოლების დანერგვა და კონფიგურირება სიმულატორით;
- სერიალური გადაცემის ინკაფსულაციის პროტოკოლების დანერგვა და საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული მისამართების და სერვისების დონეზე წვდომის შეზღუდვა;
- სხვადასხვა სერვერების ინსტალირება და მართვა;
- კატალოგების მართვის სისტემის - Active Directory-ის ამუშავება და ორგანიზაციის შიდა ქსელური რესურსების მართვა;
- ოპერაციული სისტემის Windows Server 2008 სერვერის ძირითადი მონაცემები და მისი ძირითადი სერვისები.
- ინფორმაციის საიმედოდ შენახვისათვის სხვადასხვა ტიპის დისკური მასივების განსაზღვრა და კონფიგურირება.

ბუღალტერი

პროგრამის ხანგრძლივობა	
სასწავლო კვირა	14
სასწავლო დღე	42
სასწავლო საათი	112
დატვირთვა კვირაში	8 სთ (დღეში 2-2-4 საათი)
პრაქტიკული და თეორიული სწავლების თანაფარდობა	
პრაქტიკული სწავლება	79 სთ
თეორიული სწავლება	33 სთ
პრაქტიკული და თეორიული სწავლების პროცენტული წილი	70% / 30%

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 850 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მინიმალური რაოდენობა - 12)

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 800 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა - 20)

პროგრამის ათვისების აუცილებელი წინაპირობაა კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საწყისების ცოდნა.

პროგრამა შედგება სამი სასწავლო კურსისგან: ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველები, ფინანსური აღრიცხვისა და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამის (ORIS) სასწავლო კურსებისაგან.

პროგრამის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდათავრებულს ეცოდინება:

- საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, მათი მსგავსება და განსხვავება;
- ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების არსი და მნიშვნელობა;
- ფინანსური ანგარიშგების გატარებები;
- ბალანსის შედგენა;
- საბუღალტრო უწყისების წარმოება;
- ფინანსური ანგარიშგების საქართველოში მოქმედი სტანდარტების ძირითადი მიდგომები;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის ძირითადი მოთხოვნები;
- კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამის (ORIS) ზოგადი კურსი:
 - ორგანიზაციის შექმნა, საოპერაციო და ანალიზური პერიოდები;
 - ანგარიშთა გეგმის მომზადება;
 - სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაცია;
 - ბალანსის შესადგენად ნაშთების მომზადება;
 - კადრები და ხელფასის დარიცხვა;

- სასაქონლო სია;
- ანალიზის და კონტროლის ინსტრუმენტები;
- არსებულ საბუღალტრო პროგრამებში სამეურნეო ოპერაციების შეტანა/კორექტირება;
- საბუღალტრო ანგარიშებში ჩაწერა, ნაშთების გამოთვლა.

კურსდამთავრებული შეძლებს პირველადი საბუღალტრო და საგადასახადო დოკუმენტების შედგენას, კრეფსითი უწყისის შედგენას, საცდელი ბალანსის შედგენას კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით.

სარეკლამო აგენტი

პროგრამის ხანგრძლივობა	
თეორიული სწავლებისას სასწავლო კვირა	12
სასწავლო დღე	36
სასწავლო საათი	84
დატვირთვა კვირაში	7სთ (დღეში 2-2-3 საათი)
პრაქტიკული სწავლებისას სასწავლო კვირა	1
სასწავლო დღე	5
სასწავლო საათი	4 სთ
დატვირთვა კვირაში	20 სთ

პრაქტიკული და თეორიული სწავლების თანაფარდობა	
პრაქტიკული სწავლება (საწარმოო პრაქტიკა)	20 სთ
თეორიული სწავლება (მოიცავს პრაქტიკულ დავალებებს)	84 სთ
პრაქტიკული და თეორიული სწავლების პროცენტული წილი	40% / 60%
სულ	
სასწავლო კვირა	13
სასწავლო დღე	41
სასწავლო საათი	104

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 750 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მინიმალური რაოდენობა - 10)

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 700 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა - 25)

პროგრამა შედგება 5 სასწავლო კურსისგან: სარეკლამო ინდუსტრიის სფეროში საქმიანობა 28 სთ; მარკეტინგული კვლევა სარეკლამო საქმიანობისას 7 სთ; რეკლამის გავრცელება და განთავსება 21 სთ; მარკეტინგული კომუნიკაციის გამოყენება მომსახურების შეთავაზებისას 14 სთ; რეკლამის ტექსტზე მუშაობა 14 სთ.

საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი მოიცავს ვიზიტს სარეკლამო სააგენტოში, სტამბასა და კომპანიაში.

პროგრამის მიზანია: კურსდამთავრებულისათვის ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და პროფესიული კომპეტენციების ფორმირება, რომლებიც აუცილებელია, რათა შეასრულოს სარეკლამო საქმიანობის სფეროში სარეკლამო აგენტის მოვალეობები.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- რეკლამის გამავრცელებელთა ელექტრონული ბაზის შექმნა;
- ელექტრონულ ბაზაში ინფორმაციის შეტანა/განახლება;
- კონკრეტული დავალების შესაბამისად რეკლამის პოტენციური დამკვეთების განსაზღვრა;
- რეკლამის სახეები და მისი კლასიფიკაცია;
- მიზნობრივი აუდიტორიის ძირითადი ჯგუფები;
- გამოკითხვის გავრცელებული მეთოდები;
- რეკლამის გავრცელების საშუალებები/არხი;
- მარკეტინგული მიმართვების ძირითადი ინსტრუმენტები;
- რეკლამის ტექსტის ძირითადი სტრუქტურული ელემენტები;
- რეკლამის ტექსტის სტილისტური ორგანიზების თავისებურებები;

პროგრამის დამთარების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- მონაცემთა ბაზების მიზნობრივ გამოყენებას;
- ბაზაში შეტანილი ინფორმაციის დამუშავებას;
- სარეკლამო ინდუსტრიის სტრუქტურის აღწერას;

- რეკლამის დამკვეთთა კატეგორიების განსაზღვრას;
- რეკლამის დამკვეთთან, რეკლამის მწარმოებლებთან და რეკლამის გამავრცელებლებთან საქმიანობის ორგანიზებას;
- რეკლამის დამკვეთის, რეკლამის მწარმოებლის და რეკლამის გამავრცელებლების საქმიანობის ურთიერთდაკავშირებას;
- მარკეტინგული კომპლექსის ძირითადი შემადგენელი ელემენტების განსაზღვრას;
- მარკეტინგული კვლევის გამოყენებას სარეკლამო პროდუქციის შემუშავებისა და შეფასებისას;
- მარკეტინგული კვლევის გამოყენებას რეკლამის გავრცელების/განთავსებისას;
- რეკლამის ტექსტზე მუშაობას და მის ენობრივ გამართულობას;
- რეკლამის ტექსტის მიზნობრივ აუდიტორიის ინტერესებზე მორგებას;
- რეკლამის განთავსების უზრუნველყოფას;

ოფისის მენეჯერი

პროგრამის ხანგრძლივობა	
სასწავლო კვირა	13
სასწავლო დღე	39
სასწავლო საათი	117
დატვირთვა კვირაში	9 სთ (დღეში 2-3-4 საათი)
პრაქტიკული და თეორიული სწავლების	

თანაფარდობა	
პრაქტიკული სწავლება	47 სთ
თეორიული სწავლება	70 სთ
პრაქტიკული და თეორიული სწავლების პროცენტული წილი	40% / 60%

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 750 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მინიმალური რაოდენობა - 10)

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 700 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა - 20)

პროგრამა შედგება 3 სასწავლო კურსისგან: პროფესიული ეთიკა და საქმიანი ურთიერთობების ეტიკეტი (26სთ), საქმისწარმოების საფუძვლები (65სთ) და საოფისე კომპიუტერული პროგრამები (26სთ).

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი ოფისის მენეჯერის მომზადება, რომელსაც ექნება პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. პროგრამის ფარგლებში მსმენელები შეისწავლიან საქმისწარმოების ძირითადი ასპექტებისა და მის მნიშვნელობას; ოფისის მენეჯერის ძირითადი ფუნქციებისა და მოვალეობებს; საოფისე ტექნიკასთან მუშაობის წესებს; საარქივო საქმესა და ღონისძიებათა მოწყობის წესებს; საერთაშორისო მიმოწერის სტანდარტებს; პროფესიულ ეთიკისა და ეტიკეტის წესებს.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდათავრებულს ეცოდინება: სამუშაო ადგილის მოწყობის წესები; საოფისე მომსახურების ძირითადი სახეები; ადმინისტრაციული საქმისწარმოების წესები; საერთო და სპეციალური საქმისწარმოების წესები; დოკუმენტთა კლასიფიკაცია იურიდიული და პრაქტიკული დანიშნულების მიხედვით; ოფიციალური დოკუმენტების შედგენა-

გაფორმების (პირადი, სამსახურებრივი, საგანმკარგულელო, საადმსრულებლო, საინფორმაციო, სპეციალური დანიშნულების) და მასთან მუშაობის წესები; საარქივო საქმეთა ფორმირების წესები; საერთაშორისო მიმოწერის სტანდარტები; სხვადასხვა ღონისძიებათა მოწყობის წესები; კომუნიკაციის ძირითადი კონცეფციები, ურთიერთობის დამყარების ეტიკეტი და ეთიკის წესები; საქმიანი ინფორმაციის გაცვლისა და სწორი ვერბალური კომუნიკაციის ტექნიკა და თავისებურებები; სამსახურებრივი და საქმიანი ეტიკეტის წესები.

პროგრამის დამთარების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- პირადი დოკუმენტების მომზადებას;
- სამსახურებრივი დოკუმენტების ინდექსირებას, რეგისტრაციასა და ოპერატიულად შენახვას;
- საკადრო, სპეციალური, საინფორმაციო და საზღვარგარეთ გასაგზავნი დოკუმენტების პროექტების მომზადებას;
- ხელშეკრულებებსა და საკადრო დოკუმენტებზე მუშაობას;
- ინფორმაციის შეკრებას, დამუშავებას, შენახვას;
- დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას;
- უდოკუმენტო მომსახურების ორგანიზაციას;
- საოფისე მომსახურების ორგანიზებას;
- ღონისძიებების დაგეგმვას, ორგანიზებას და მასთან დაკავშირებული მარტივი კალკულაციის წარმოებას;
- საკუთარი თავისა და სხვების წარდგენა;
- საკუთარი თავის ეფექტურად მართვა სხვადასხვა სიტუაციებში;
- კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას ეფექტური და სწორი კომუნიკაცია;
- სატელეფონო საუბარის წარმართვა ეტიკეტის დაცვით.

საქმისწარმოების სპეციალისტი

პროგრამის ხანგრძლივობა	
სასწავლო კვირა	12
სასწავლო დღე	36
სასწავლო საათი	108
დატვირთვა კვირაში	9 სთ (დღეში 3 საათი)
პრაქტიკული და თეორიული სწავლების თანაფარდობა	
პრაქტიკული სწავლება	43 სთ
თეორიული სწავლება	65 სთ
პრაქტიკული და თეორიული სწავლების პროცენტული წილი	40% / 60%

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 750 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მინიმალური რაოდენობა - 10)

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 700 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა - 20)

პროგრამა შედგება საქმისწარმოების საფუძვლების სასწავლო კურსისგან.

პროგრამის მიზანია: შეასწავლოს მსმენელს საქმისწარმოების ძირითადი ასპექტები, მისი საგანი და მნიშვნელობა; საოფისე ტექნიკასთან მუშაობის წესები; საარქივო საქმე და ღონისძიებათა მოწყობის წესები; საერთაშორისო მიმოწერის სტანდარტები;

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ეცოდინება: სამუშაო ადგილის მოწყობის წესები; საოფისე მომსახურების ძირითადი სახეები; ადმინისტრაციული საქმისწარმოების წესები; საერთო და სპეციალური საქმისწარმოების წესები; დოკუმენტთა კლასიფიკაცია იურიდიული და პრაქტიკული დანიშნულების მიხედვით; ოფიციალური დოკუმენტების შედგენა-გაფორმების (პირადი, სამსახურებრივი, საგანმკარგულებლო, საადმსრულებლო, საინფორმაციო, სპეციალური დანიშნულების) და მასთან მუშაობის წესები; საარქივო საქმეთა ფორმირების წესები; საერთაშორისო მიმოწერის სტანდარტები; სხვადასხვა ღონისძიებათა მოწყობის წესები;

პროგრამის დამთარების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- პირადი დოკუმენტების მომზადებას;
- სამსახურებრივი დოკუმენტების ინდექსირებას, რეგისტრაციასა და ოპერატიულად შენახვას;
- საკადრო, სპეციალური, საინფორმაციო და საზღვარგარეთ გასაგზავნი დოკუმენტების პროექტების მომზადებას დამოუკიდებლად;
- ხელშეკრულებებსა და საკადრო დოკუმენტებზე მუშაობას;
- ინფორმაციის შეკრებას, დამუშავებას, შენახვას;
- დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას;
- უდოკუმენტო მომსახურების ორგანიზაციას;
- საოფისე მომსახურების ორგანიზებას;
- საარქივო მომსახურებასა და საქმეთა ფორმირებას არქივისათვის;

- ღონისძიებების დაგეგმვას, ორგანიზებასა და მასთან დაკავშირებული მარტივი კალკულაციის წარმოებას;

ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი

პროგრამის ხანგრძლივობა	
თეორიული სწავლებისას სასწავლო კვირა	13
სასწავლო დღე	39
სასწავლო საათი	143
დატვირთვა კვირაში	11 სთ (დღეში 3-4-4 საათი)
პრაქტიკული სწავლებისას სასწავლო კვირა	2
სასწავლო დღე	10
სასწავლო საათი	8 სთ
დატვირთვა კვირაში	80 სთ
პრაქტიკული და თეორიული სწავლების თანაფარდობა	
პრაქტიკული სწავლება (საწარმოო პრაქტიკა)	80 სთ
თეორიული სწავლება	143 სთ

პრაქტიკული და თეორიული სწავლების პროცენტული წილი	36% / 64%
სულ	
სასწავლო კვირა	15
სასწავლო დღე	49
სასწავლო საათი	223

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 1000 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მინიმალური რაოდენობა - 10)

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 950 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა - 20)

პროგრამა შედგება 5 სასწავლო, თეორიული კურსისგან: ადრეული განვითარების თავისებურებები (26სთ), განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები (13სთ), ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა (26სთ), სააღმზრდელო პროცესი (30სთ), სააღმზრდელო გარემო (30სთ), დაკვირვება და შეფასება (18სთ); ასევე, პროგრამა მოიცავს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. სასწავლო პრაქტიკას მოსარგებლეები გაივლიან სასწავლო დაწესებულებაში თეორიული კურსის პარალელურად, ხოლო საწარმოო პრაქტიკას სააღმზრდელო დაწესებულებაში, კვირაში 40 საათიანი დატვირთვით.

პროგრამის მიზანია:

შეასწავლოს მსმენელს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვა, მისი აღზრდა და განვითარება. ამ მიზნებისთვის იგი უზრუნველყოფს უსაფრთხო და განმავითარებელ სააღმზრდელო გარემოს. ამ პროცესში ურთიერთობს ბავშვის ოჯახთან, ბაღის კოლექტივთან და კოლეგებთან.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენებას;
- სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირება;
- გსმ ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიის განსაზღვრას ჯგუფში;
- საადმზრდელი პროცესის მართვას პოზიტიური გამდლოის პრინციპების გამოყენებით;
- ბავშვის, ჯგუფის, აღმზრდელის, აქტივობისა და პროგრამის შესაფასებლად დაკვირვებისა და არაფორმალური შეფასების მეთოდების გამოყენებას;
- მცირე და დიდ ჯგუფებთან განსახორციელებელი აქტივობების ეფექტურ მართვას;
- წარმატებული, უსაფრთხო მხარდამჭერი საადმზრდელი გარემოს შექმნას.

ექთნის თანაშემწე

პროგრამის ხანგრძლივობა	
თეორიული სწავლებისას სასწავლო კვირა	10
სასწავლო დღე	40
სასწავლო საათი	180
დატვირთვა კვირაში	18 სთ (4-4-5-5 საათი)
პრაქტიკული სწავლებისას	
სასწავლო კვირა	4
სასწავლო დღე	20
სასწავლო საათი	160

დატვირთვა კვირაში	40 სთ
პრაქტიკული და თეორიული სწავლების თანაფარდობა	
პრაქტიკული სწავლება	80 სთ
თეორიული სწავლება	180 სთ
პრაქტიკული და თეორიული სწავლების პროცენტული წილი	30% / 70%
სულ	
სასწავლო კვირა	14
სასწავლო დღე	60
სასწავლო საათი	260

პროგრამის ხანგრძლივობა 14 კვირა - 260სთ (თეორიული სწავლებისას დატვირთვა კვირაში 18 საათი, დღეში 4-4-5-5 საათი)

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 1000 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მინიმალური რაოდენობა - 8)

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 900 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა - 20)

მსმენელები გადიან თეორიულ კურსს 10 კვირის მანძილზე და ოთხკვირიან პრაქტიკას სამედიცინო დაწესებულებაში, კვირაში 20 საათიანი დატვირთვით.

პროგრამის მიზანია:

განუვითაროს მსმენელს ექთნის თანაშემწისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს ექთნის თანაშემწის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

ექთნის თანაშემწე არის სამედიცინო პერსონალი, რომელიც მუშაობს ექიმის/ექთნის მეთვალყურეობის ქვეშ, ფლობს მოსავლელი პირის/პაციენტის მოვლის ზოგად უნარებს და ზრუნავს როგორც პრაქტიკულად ჯანმრთელ (მელოგინე, ჩვილ და მცირეწლოვან), ისე ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებებისა თუ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე და ტერმინალურ პაციენტებზე, ინდივიდუალური (ასაკობრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური) სპეციფიკის გათვალისწინებით.

აქედან გამომდინარე, პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- თითოეული დაავადების შემთხვევაში ავადმყოფის მოვლას;
- სანიტერულ-ჰიგიენური ნორმებისა და საკუთარი თავის დაცვას ინფექციის კერაში მუშაობისას;
- მოსავლელი პირის/პაციენტის პირადი მოხმარების ნივთების დასუფთავებას/დეზინფექციას;
- მოვლის პროცესის წარმართვისათვის საჭირო სამედიცინო ინვენტარის, ტექნიკისა და აპარატურის დასუფთავებას/დეზინფექციას;
- ინფორმაციის მიწოდებას წამლების ორგანიზმზე ზემოქმედების გვერდითი ეფექტების შესახებ;
- დახმარების აღმოჩენას მედიკამენტების მიღებისას;
- პალიატიურ მზრუნველობას;
- პირველი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას;
- სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგს;
- პაციენტებთან და საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობას ფსიქოლოგიისა და ეთიკური ნორმების დაცვით;

- კომპეტენცის ფარგლებში კომუნიკაციას პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან და მედპერსონალთან.

ფარმაცევტის თანაშემწე

პროგრამის ხანგრძლივობა	
თეორიული სწავლებისას სასწავლო კვირა	12
სასწავლო დღე	36
სასწავლო საათი	120
დატვირთვა კვირაში	10 სთ (დღეში 3-3-4 საათი)
პრაქტიკული სწავლებისას სასწავლო კვირა	2
სასწავლო დღე	10
სასწავლო საათი	80
დატვირთვა კვირაში	40 სთ
პრაქტიკული და თეორიული სწავლების თანაფარდობა	
პრაქტიკული სწავლება	80 სთ
თეორიული სწავლება	120 სთ
პრაქტიკული და თეორიული სწავლების პროცენტული წილი	40% / 60%
სულ	

სასწავლო კვირა	14
სასწავლო დღე	46
სასწავლო საათი	200

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 900 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მინიმალური რაოდენობა - 8)

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 800 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა - 20)

მსმენელები გადიან ორკვირიან პრაქტიკას აფთიაქებში, კვირაში 40 საათიანი დატვირთვით.

პროგრამის მიზანია:

მსმენელთა მომზადება-გადამზადება, რის შემდეგაც ისინი შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღება – განთავსებას, აღწერას, პარაფარმაცევტული პროდუქციის გაცემის პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასობას და მომხმარებელთან კომუნიკაციას.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- პროდუქციის ვიზუალურად შემოწმებას, იგივეობის, სასაქონლო ნიშნებისა და რაოდენობის დადგენას, ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასობა-მარკირებას;
- მომხმარებელთან და თანამშრომლებთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპების გათვალისწინებას;

- მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის (ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნები, სამკურნალო და დეკორატიული პროდუქცია, მოვლის და ჰიგიენის საგნები) შეგროვება–დათვალიერებას, კონსულტაციის გაწევას პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენებისა და შენახვის პირობების შესახებ;
- ანგარიშის მომზადება–ჩაბარებას პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ;
- ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების დაცვას;
- მომხმარებელთან ურთიერთობასა და კომუნიკაციას.